

კანონპროექტი საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვა –
მოსახლეობის ჯანმრთელობის გაუმჯობესების,
დაავადებათა პრევენციის და კონტროლისაკენ
მიმართული ღონისძიებათა ერთობლიობა

ძირითადი მიზნები


მოსახლეობის ჯანმრთელობის ხელშეწყობა

- გადამდები და არაგადამდები დაავადებების თავიდან აცილება
- ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა
- ოჯახის რეპროდუქციული ჯანმრთელობის ხელშეწყობა
- ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა

ძირითადი პრინციპები

მკაფიო პასუხისმგებლობების სისტემა

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში მონაწილეების უფლება-მოვალეობების მკაფიოდ განსაზღვრა



ძირითადი პრინციპები

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის სფეროში:

- სახელმწიფო ორგანოების მჭიდრო საინფორმაციო კოორდინაცია
- პრევენციული ღონისძიებების უზრუნველყოფა ჯანმრთელობასთან დაკავშირებულ საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით
- ცენტრალური და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებების მკაფიოდ გამიჯვნა

კანონის რეგულირების სფერო

სახელმწიფოს ვალდებულებებულებები გადამდები დაავადებების პროფილაქტიკის სფეროში

გადამდები დაავადებების გავრცელების თავიდან აცილების მიზნით პროფილაქტიკური აცრების ეროვნული კალენდრით განსაზღვრული:

- ვაქცინაციის უზრუნველყოფა
- ვაქცინაციისათვის საჭირო პრეპარატების მომარაგების, მათი შენახვის და ტრანსპორტირების ორგანიზება

ეპიდემიების შემთხვევაში:

- პრევენციული ვაქცინაციის ორგანიზება
- გადამდები დაავადების აქტიური გამოვლენის ორგანიზება

საგანგებო სიტუაციის შემთხვევაში :

- ფიზიკური პირის იზოლაცია ან კარანტინში მოთავსება და ამ პირობებში მათი სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა

ბიოლოგიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის მიზნით სამინისტრო:

- განსაზღვრავს განსაკუთრებით საშიში ბიოლოგიური აგენტების სიას
- განსაზღვრავს განსაკუთრებით საშიში ინფექციების გამომწვევების გამოყენების, გადაცემის, გადატანის და განადგურების წესებს
- შეიმუშავებს სანიტარიულ-ჰიგიენურ წესებსა და ნორმებს განსაკუთრებით საშიშ ბიოლოგიურ აგენტებზე მომუშავე ლაბორატორიებისათვის
- განსაზღვრავს პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს
- ადგენს შეზღუდვებს განსაკუთრებით საშიში ბიოლოგიური აგენტების ფლობის, გამოყენების, გადაცემის, გადატანის და განადგურების თაობაზე
- გასცემს ლიცენზიას განსაკუთრებით საშიშ ინფექციებზე საქმიანობისათვის

დავალებათა აღმოჩენის და რეაგირების სახელმწიფო სისტემა

მიზანშეწონილია:

- ჩამოყალიბდეს განსაკუთრებით საშიშ ინფექციებზე საქმიანობის განმახორციელებელი ბიოუსაფრთხოების ლაბორატორიების უნიფიცირებული სისტემა
- მთავრობის მიერ განისაზღვროს ბიოუსაფრთხოების ლაბორატორიების საქმიანობის ერთიანი სამოქმედო გეგმა და უნიფიცირებული სტანდარტები.
- ბიოუსაფრთხოების ლაბორატორიების სისტემის მართვა განხორციელდეს სამეთვალყურეო/საკოორდინაციო საბჭოს მიერ, რომლის შემადგენლობაში შევლენ ჯანდაცვის, სოფლის მეურნეობის, განათლებისა და მეცნიერების, თავდაცვის, შინაგან საქმეთა და გარემოს დაცვის სამინისტროების წარმომადგენლები.

ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო
გარემოს უზრუნველყოფა

ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს
ხარისხობრივი ნორმების განსაზღვრა:

- წყლის, ატმოსფერული ჰაერის და ნიადაგის ხარისხობრივი ნორმების და მათში მავნე ნივთიერებების დასაშვები კონცენტრაციების განსაზღვრა
- ხმაურის, ვიბრაციის, ელექტრომაგნიტური გამოსხივების ზღვრულად დასაშვები კონცენტრაციების და რადიაციული უსაფრთხოების ნორმების დადგენა

კანონის რეგულირების სფერო

ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა

ადამიანის საცხოვრებელ ან მუდმივად ყოფნის ადგილებში:

- ადამიანის ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა სამინისტროს მიერ დადგენილ ზღვრულად დასაშვები გარემოს ხარისხობრივი ნორმების დაცვის კონტროლის მეშვეობით.
- იმ პირების მიმართ, რომელთა საქმიანობამაც გამოიწვია ადამიანის საცხოვრებელ ან მუდმივად ყოფნის ადგილებში სამინისტროს მიერ დადგენილი გარემოს ხარისხობრივი ნორმების დარღვევა, ზიანის პროპორციული სანქციების დაწესება.

ზონოზური დაავადებების კონტროლი

საზოგადოებრივი ჯანმრთელობის უზრუნველყოფის მიზნით:

- ცოფის პრევენციის სახელმწიფო პროგრამის შემუშავება
- ცხოველების ცოფის საწინააღმდეგო პროფილაქტიკური აცრებისათვის ვაქცინის უზრუნველყოფა
- ცხოველთა ვაქცინაციის მონაცემთა ერთიანი ინფორმაციული ბანკის წარმოება
- ზონოზური დაავადების გამოვლენის შემთხვევაში ეპიდაფეთქების სალიკვიდაციო ღონისძიებების გატარების დროს ჯანდაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტროების კოორდინირებული მოქმედება

ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა

განსაკუთრებული კონტინგენტისათვის

- სანიტარიული და ჰიგიენური ნორმების დადგენა და მათი დაცვის ზედამხედველობა
- ადამიანის ორგანიზმის ფიზიოლოგიური მოთხოვნების ნორმების დადგენა და მათი შესრულების ზედამხედველობა

ჩვილი ბავშვებისთვის და მოზარდებისათვის

- ფორტიფიცირებული კვების პროდუქტების ნორმების დადგენა
- დიეტური და დიაბეტური კვების პროდუქტების ნორმების დადგენა

❖ განსაკუთრებული კონტინგენტი-ყველა ადამიანი, რომელსაც არ შესწევს ან შეზღუდული აქვს დამოუკიდებლად გადაწყვეტილების მიღების უნარი (არასრულწლოვანები, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები, ხანდაზმულები, სტაციონარის ავადმყოფები) და რომლებსაც სახელმწიფომ იძულებით შეუზღუდა თავისუფალი მოქმედება (ჯარისკაცები, პატიმრები)

ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა

სამინისტრო:

- ახორციელებს პოლიტიკას, რომლის საბოლოო მიზანია თამბაქოს მოხმარების აღმოფხვრა
- განსაზღვრავს ნარკომანისათან, ტოქსიკომანიასთან და ალკოჰოლიზმთან ბრძოლის პოლიტიკას
- განსაზღვრავს საკვები ნივთიერებების დეფიციტით და სიჭარბით გამოწვეული დარღვევებთან ბრძოლის პოლიტიკას.

კანონის რეგულირების სფერო

ოჯახის რეპროდუქციული ჯანმრთელობის ხელშეწყობა

- რეპროდუქციული ჯანმრთელობის პოლიტიკის უზრუნველყოფა
- ბავშვთა ოპტიმალური განვითარებისათვის ხელშემწყობი გარემოს უზრუნველყოფა
- დედათა, ბავშვთა და მოზარდთა ჯანმრთელობის ხელშეწყობა